





## „დილი საქართველო“

განუზომელია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ამაგი და ღვანლი ქართული ეკლესის აღორძინება-აღმშენებლობაში, განათლების, მეცნიერების, ხელოვნების და, საერთოდ, ქართულ კულტურის განვითარებაში.

იმ დღიდ საქმეთაგან, რომლებსაც მისი თაოსნობითა და მეორებით დაედგა გვირგვინი, ჩემი პროფესიული თვალთახედვიდან, უდავოდ, საგულისხმოდ მიმართინა საქართველოში სიკვდილით დასჯის პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა. ჩემთვის დიდი პატივია, რომ მე-20 საუკუნის მიწურულსა და 21-ე საუკუნის დამდეგს საქართველოში ამ უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღების უშუალო მონაცილე ვიყავი.

ზემოაღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური გახდა დამოუკიდებელი საქართველოს რიგით მეორე კონსტიტუციის პროექტის მომზადების დროს (1993-1995 წწ.). ქვეყნის ძირითადი კანონი გვერდს ვერ აუვლიდა მათ. კონსტიტუციაში პასუხი უნდა გასცემოდა კითხვებს: საჭირო იყო თუ არა სიკვდილით დასჯის შენარჩუნება და როგორი უნდა იყოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა და ანგქისის (1921 წ.) შემდეგ ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა და ამასთან ერთად სიკვდილით დასჯის საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლებაც. საბჭოთა საქართველოში სიკვდილით დასჯის გამოყენება კანონმდებლობასა და პრატიკისაში ისეთივე იყო როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში. კომუნისტური დიქტატურის პირობებში სიკვდილით დასჯის გამოყენებას ფართო გასაქანი მიეცა. საქართველოს სახელმწიფო ეპიზოდი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ე.ი. 1991 წლამდე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო 33 სახელმწიფო დანაშაულისათვის. აქედან 17 შემთხვევაში სიკვდილით ისჯებოდა სამხედრო დანაშაულის ჩადენა. ამ მძიმე მემკვიდრეობის დასაძლევად, 1990 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მოსული ეროვნული ხელისუფლება სიკვდილით დასჯის თანადათანობით გაუქმდებას შეუდგა, თუმცა ამის სრულად გაკეთება მას არ დასცალდა საქართველოს ახალი კონსტიტუციის (1995 წ.) პროექტზე მუშაობისას, როგორც ეს უკვე ალვინშნერთ, კვლავ მწვავედ დადგა სიკვდილით დასჯის მიზანშეწონილობის საკითხი, თუმცა ამ საკითხზე გამართულ დისკუსიებში ვერ გაიმარჯვეს ვერც სიკვდილით დასჯის მომხრეებმა და ვერც მისმა მოწინააღმდეგებმა. საბოლოოდ კონსტიტუციაში ჩამოყალიბდა ნორმა, რომელიც სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების გამოყენების საშუალებას იძლეოდა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას უჭირდა საბჭოური მემკვიდრეობისაგან ერთბაშად განთავისუფლება. სისხლის სამართლის კოდექსში სიკვდილით დასჯა კვლავ იქნა შენარჩუნებული. კონსტიტუციის მიღების შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრი დამტომდა რადგანაც დღის წესრიგში დადგა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღება და საქართველოს ევროპის საბჭოში განევრიანება, რომლის ერთ-ერთ ნინაპირობას სიკვდილით დასჯის გაუქმება წარმოადგენდა.

სწორებ ამ დროს და ასეთ ვითარებაში სიკვდილით დასჯის გაუქმების ინიციატივით გამოიყიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მან 1996 წლის აპრილში წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტსა რომელშიც აღნიშნული იყო: „ლვთის ერთ-ერთი მცნებაა: „არა კაც ჰყულა“. ეს სიტყვები მიმართულია როგორც ცალკეული ადამიანებისადმი, ისე ერებისა და სახელმწიფოებისადმი. შეუძლებელია ბოროტების აღმოფხვრა ბოროტებით. სიკვდილით დასჯა ნებისმიერ შემთხვევაში არის ბოროტება, რადგანაც სიცოცხლის ნართმევის უფლება აქვს მხოლოდ მას, ვინც იგი მიანიჭა ადამიანს - ანუ ღმერთს“. წერილმა დიდი გავლენა იქნია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებზე. ამის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა პარლამენტს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა 148 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების - სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“. ქართული სახელმწიფო დაუბრუნვნადა თავის მრავალსაუკუნოვან ჰუმანურ ტრადიციებს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პროექტის შემუშავების დროს უმთავრესი საკითხი, რომელიც კონსტიტუციური პროცესის ყველა ეტაპზე ცხარე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა, სახელმწიფო მმართველობის საკითხი იყო, რადგანაც იგი უშეუალოდ იყო დაკავშირებული იმ პერიოდში ხელისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლასთან. ამიტომ მან თავისი აქტუალურობით დაჩრდილა სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი სახელმწიფო-სამართლებრივი, მათ შორის, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგლამენტაციის პრობლემები საკონსტიტუციო კომისიაში დისკუსია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის პრობლემაზე საერთოდ არ გამართულა, ხოლო ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტის თითქმის ყველა ვარიანტში უცვლელად იყო მოყვანილი ამ საკითხის გადაწყვეტილი ტრაფარეტული დებულებები: სახელმწიფო და ეკლესია ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და უზრუნველყოფილია რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება. კონ



სტიტუციის პროექტის შემუშავების დასკვნით ეტაპზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ინიციატივით სახელმწიფოსა და ეკლესიის ზემოაღნიშნულ დებულებებს დაემატა, ერთი შეხედვით, თითქოს დეკლარაციული, მაგრამ თავისი შირაარსით მეტად მნიშვნელოვანი დებულება: „სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში“. რადგანაც ეს ჩანაწერი ქართული ეკლესიის როლს რეტროსპექტივაში განიხილავდა, პოლიტიკურად უაღრესად მრავალსპექტრიან პარლამენტში მასზე ყურადღება არ გამახვილებულა საქართველოს კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის მიღებისას.

ახლად მიღებული კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ, ფართოდ გაიშალა სამართლებრივი მიზნით საქართველოს კანონმდებლობის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დღის წესრიგში დადგა რელიგიური გაერთიანებების შესახებ სპეციალური კანონს მიღების საკითხით. მაგრამ იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ერთ საკანონმდებლო სიბრტყეზე ყველა რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი მდგომარეობის და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მონესრიგება არ იქნებოდა მართებული. საქმე ისაა, რომ საქართველოს კონსტიტუცია, გარდა იმისა, რომ აცხადებდა რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამავე დორს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღიარებდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში. ქრისტიანული მართლმადიდებლობა საქართველოში ხომ 15 საუკუნის მანძილზე სახელმწიფო რელიგია იყო. ამ ისტორიულ როლს ემატებოდა ისიც, რომ აღორძინებული მართლმადიდებელი ეკლესია სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში არა მარტო წარსულში, არამედ თანამედროვე პერიოდშიც. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მორჩმუნე მართლმადიდებელი მრევლის რაოდენობა ამჟამად საქართველოში მოსახლეობის 83 პროცენტზე მეტია. ამიტომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეს განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა მოითხოვდა მისი სამართლებრივი რეგლამენტაციის არაორდინარულ გადაწყვეტას.

ამოცანა მეტად რთული იყო, მაგრამ მოიძებნა ისტორიული და იურიდიული თვალსაზრისით მისი გადაწვეტის მართებული ფორმა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წინადადებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის და მისი სამართლებრივი მდგომარეობის საკითხების განსაზღვრისათვის სახელმწიფოსა და ეკლესიას, როგორც ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის კონსტიტუციური შეთანხმება უნდა დადგებულიყო. „სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა, - ბრძანებდა პატრიარქი, - განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს, რაც განპირობებულია ქვეყნის შიდაპოლიტიკური მოწყობით და ასევე საერთაშორისო სიტუაციის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის ყველაზე მისაღებ ფორმად მიჩნეულ იქნა კონსტიტუციური შეთანხმება“.

2001 წლს საქართველოს სამოციქულო აგტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლების განსაზღვრის შემდეგ, 2002 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის თაოთ კონსტიტუციური შეთანხმისა.

სიას ძორით დაიდო კონსტიტუციური შეთახმება.  
კონსტიტუციურ შეთახმებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღი-  
არებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, განსაზღვრულია ეკლესიის უფლე-  
ბამოსილებები კულტურულ-საგანმანათლებლო, თავდაცვის, იუსტიციის, სოციალ-  
ური დაცვის სფეროებში, ეკლესიის საკუთრებად გამოცხადებულია საქართველოს  
მთელ ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრები, მონასტრები, მინის-  
ნა ეკლესიები. სახომიწილო თავადში არსებობდა საკუთრებული საანქარი.

კონსტიტუციური შეთანხმება მტკიცე სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ეკლესიისათვის. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთშეთანხმებით. ამასთანავე, სახელმწიფო ორგანოების მიერ კონსტიტუციური შეთანხმების საწინააღმდეგოდ გამოცემულ სამართლებრივ აქტებს ან მათ მიერ დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს იურიდიული ქაოს არ იწინათ.

ასეთია, ჩემი აზრით, თანამედროვე საქართველოს ის ორი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი და, ამასთანავე, სამართლებრივი პრობლემა, რომელთა საბოლოო გადაწყვეტაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს და რომლებსაც, დავით აღმაშენებლის ისტორიოსს თუ დავგვესესხებით, თამამად შეიძლება ვუწოდოთ „დიდი საქმენი“.



## ღირსახსოვარი შეხვედრები

უნმინდესი და უნეტარესი ილია II-ის საპატრიიარქო ტახტზე აპრძანებისთვის ფიქრი და სჯა 1977 წლამდე კარგა ხნით ადრე დაინყო. გამორჩეული მღვდელმთავრისთვის გზა განემზადებოდა თითქოს: ამ საკითხზე საუბარი ხშირად იმართებოდა ჩვენს ოჯახშიც. ასე რომ, 1977 წლის 25 დეკემბრამდეც გარკვეული წარმოდგენა თუ ცოდნა მისი პიროვნების შესახებ მქონდა. მოგვიანებით კი, ბედნიერება მერგო გავცნობოდი ახლოს, პირადად. ბენილუქსის ქვეყნებში ელჩად მუშაობის დროს პატივი მერგო ვყოფილიყავი პატრიარქთან ერთად 1999 წელს, როდესაც იგი ჩამობრძანდა ნიდერლანდებში, ტექსელზე ქართველთა საძმო სასაფლაოს მოსახაულებლად და პანაშვიდის აღსავლენად.

ტექსელზე დღემდე პატივისცემით ინახავენ ქართველ მებრძოლთა ხსოვნას, უვლიან მათ განსასვენებელს. იმ ხანად, გასული საუკუნის მიწურულისთვის, ბევრი იყო მომსწრე და მხილველი კუნძულზე დატრიალებული ტრაგედიისა, რამაც ბევრი ქართველი იმსხვერპლა. ამიტომაც ბევრი ტექსელი, კუნძულის ხელისუფლებასთან ერთად დაესწრო უნმინდესის მიერ აღვლენილ პანაშვიდის.

პატრიარქი პოლანდიაში რამდენიმე დღე ბრძანდებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჰკითხეს უნმინდეს, რაიმეს ნახვა, მონაბულება, დათვალიერება ხომ არ ენადა კიდევ. და აი, თურმე ჩვენს პატრიარქს აინტერესებდა მსოფლიოში ცნობილი მეცხოველე ფერმების საქმიანობა, სურდა მათი მუშაობის გაცნობა. აღმოჩნდა, რომ უნმინდესი გახლდათ პირველი ქართველი, ვინც ფერმებითა და სოფლის მეურნეობით დაინტერესდა.

განსაკუთრებით გამოყოფ პერიოდს, როდესაც უკიდურესად დაიძაბა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა — აფხაზეთისა და ცხივნალის რეგიონის სტატუსთან დაკავშირებით. დაძაბულობამ პიკს მიაღწია 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. და აი, ასეთ გამოუვალ სიტუაციაშიც კი, უნმინდესმა შეძლო შეხვედროდა და მოლაპარაკება ენარმოებინა არამარტო რუსეთის ეკლესის უმაღლესი იერარქებთან და პატრიარქთან, არამედ თვით ქვეყნის პრეზიდენტთან. ბრძენი სოლომონი ამბობს: „თუ უფალი წყალობს ადამიანის გზებს, მა-

შინ მის მტრებსაც შეარიგებს მასთან“. რუსეთის პრეზიდენტთან ჩვენი პატრიარქის შეხვედრა, რა თქმა უნდა, სრულად გაშუქებულა, მაგრამ, თამამად, შეიძლება ითქვას, რომ უნმინდესმა ილიამ, თავისი ავტორიტეტის წყალობით, ბევრი რამის გაკეთება შეძლო (თუნდაც დაჭრილ და გარდაცვლილ ქართველთა გამოყვანა ბრძოლის არეალიდან!). შეიძლებოდა ბევრი რამ კიდევ სხვანაირად წარმართულიყო... ჩვენი პატრიარქის დამსახურებაა, რომ ოფიციალურად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონი, საეკლესიო სიერცე საქართველოს ეკლესის იურისდიქციაში რჩება.

როდესაც რუსეთში საქართველოს ელჩად ვმუშაობდი, ვხედავდი, რომ კათოლიკოს-

პატრიარქის მოსკოვში ჩამობრძანება ყოველთვის განსაკუთრებულ ელფერს იძნება: საეკლესიო სიგრცეში ის ძალიან ბევრს მართლა გულწრფელად უყვარს, ბევრიც პატივს მიაგებს მას პიროვნული ღირსებების გამო, მაგრამ, გამორჩეული თბილი ურთიერთობა პერნათ ჩვენს პატრიარქსა და განსვენებულ ალექსი II-ს. ჩვენი პატრიარქის ერთ-ერთი ვიზიტისას, უმნინდესის ლოცვა-კურთხევით მოსკოვში საქართველოს საელჩოს სახელით გავმართეთ მიღება, რომელზედაც თავი მოიყარეს მოსკოვში ქართული და რუსული საზოგადოების ცნობილმა წარმომადგენლებმა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისა და რუსეთის პატრიარქ ალექსი II-ის მადლით, განუმეორებელი, ძალიან თბილი სალამი შედგა.

მოსკოვში პატრიარქის ვიზიტებისას განსაკუთრებით ხარობდა იქაური ქართველობა, ძალიან ბევრი იყო ევროპის ქვეყნებიდან უნმინდესის სანახავად მოსკოვს სპეციალურად ჩამოსული ქართველიც...



ერთ-ერთი ვიზიტისას ვახლდი უნმინდესს ზაგორსქში, სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, სადაც მოღვაწეობდნენ მისი თანაკურსელები, გაისხენს ყველა და ყველაფერი, ხარიბდნენ ადამიანური სინრთულითა და სიხარულით — მათთან თვით კათოლიკოს-პატრიარქი ბრძანდებოდა და იგი მათი თანაკურსელი, მერხის მეგობარი იყო: „ადამიანის გული ირჩევს თავისგზას, ხოლო უფალი წარმართავს მის ნაბიჯს“. უფალის მიერ წარმართული ნაბიჯებით მას, თამამად შეუძლია, ბრძანოს: „სიბრძნის გზა გასწავლე, სიმართლის გზებით გატარე. როცა ივლი, არ შემოკლდება შენი ნაბიჯი და როცა ირბენ, არ წაიბორძიკებ“.

**ზურაბ აბაშიძე,**  
ქართული ენციკლოპედიის  
მთავარი რედაქტორი

**სურათზე:** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესი და უნტარესი ილია II-ის შეხვედრა რუსეთის პატრიარქ ალექსი II-სთან.  
მოსკოვი, 2000 წელი.

## ასე დაგვიდრდა გენოციდის სული მარადიულ სიგვიდეები

იმ მადლთაგან, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ნებით, კურთხევით და ძალისხმევით მიემადლა ქართველ ერს, არის ერთი საშვილშვილო მოვლენა, და, მე, როგორც მის უშუალო მონაწილეს, ნება მიბოძეთ, წინა ისტორიის მოკლე გახსენებით, მოგითხოთ ამის თაობაზე:

1959 წლის 17 მარტს, 17 საათსა და 50 წუთზე, ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე გალაკტიონ ტაბიძემ - თბილისში, ვაკეში, სამკურნალო კომპინატის ფანჯრიდან 13 მეტრის სიმაღლიდან გადმოეშვა „ვარდისფერ გზაზე“ აჩქარებული ისე, რომ დაცემისას, ნებთი სისხლი არ დაუღვრია, იქვე გარდაიცვალა და მიწაზე არავითარი კვალი არ დაუტოვებია.

2010 წლის 17 მარტს ამ ადგილზე დაიდგა ობელისკი, რომლის იდეაც საუკუნის დასაწყისში მე და ცნობილ მხატვარს თენგიზ მირზაშვილს გაგვიჩნდა - ამ შეუმჩნეველ და მივიწყებულ ადგილზე დაგვედო ვეებერთელა ლოდი და წაგვენერა: „1957 წლის 17 მარტს აქ დაასრულა სიცოცხლე გალაკტიონ ტაბიძემ ტაბიძემ“.

ამ იდეის განხორციელებას ბარე 10 წელი დასტირდა. ბოლოს, 2010 წელს ყაზბეგიდან, ჩვენი პატრიარქის მშობლიური რაიონიდან ჩამოტანი-

ლი დიაბაზის ორი ძეირფასი („ვეფხისტყაოსანში“ შექებული იგივე ამარიტის) ქვა აქ ობელისკად აღიმართა.

მანამდე, ათი წლით ადრე, კი მოხდა ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რაზეც დასაწყისში მივანიშნე.

ვაკეში, სამკურნალო კომპინატის პირდაპირ ცხოვრობდა გალაკტიონსა და მის პოზიზიზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება - ხუტა ყუფარაძე. მან შემოკირიბა გენიოსის თაყვანისმცემ-ლები და პოეტის დაბადებისა და გარდაცვალების დღების ღირსეული ჭირისუფლის გულისხმიერებით აღინიშნავდა.

ბატონმა ხუტამ ერთმანეთს გააცნო და დაკავშირდა სახადასხვა თაობის ხალხი, თავის მოკრძალებულ ბინაში დააბარისა და გარდაცვალების სახელნოდებით - „ეფემერა“.

სწორედ იქ, ერთი მორიგე შეერგების დროს, დაიბადა გალაკტიონისათვის ნესის აგების იდეა. ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა შევადგინეთ შესაბამისი ტექსტი და თხოვნით მიმართეთ პატრიარქს.

პატრიარქმა დაუყოვნებლივ გვამცნო პარაკლისის თარიღი.

დაუვიწყებარი დღე გათენდა 2000 წლის 21 ივნისს, გალაკტიონის სახელმა სიონის ტაძარსა და მის შემოგარენში, კიდევ ერთხელ შეკრიბა მორნ-

მუნე მრევლი, ტაძრის ეზოში გაიშალა დიდი ტრაპეზი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სიონის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა და მთაწმინდაზე აკურთხა გალაკტიონის საფლავი.

ეს იყო გენიოსის სულის მარადიულ სიმშვიდეში დაპრუუბის წუთები.

აი, როგორი ჩვეული მოკრძალებით გახსენა იგი 2011 წლის 23 მაისს უნმინდესმა და უნეტარესმა:

„მახსენდება 2000 წლის ივნისი, როცა გალაკტიონს სიონის ტაძარში გადაეხადა პანაშვიდი, აეგო წესი და ნაკათხულ იქნა შენდობის ლოცვა. თითქოს საოცარი წესი ერთხაში ერთბაშად განქარდა, თითქოს დახუტოული სივრცე უცებ უანგბადით აივსო და სიცოცხლის სულმა და სულ სხვა ცხოვრება დაიწყო და მის შემოქმედებასაც სხვა მადლი მიეცა.“

ამ და სხვა აურაცხელი სიკეთის ქმნისათვის ქართველი ხალხი მადლობას მოგახსენებს ჩვენი ერის ჯვარისმტვირ



# მწოდებლი სიტყვითა სარწმუნო ებისათა

მაშინ საოცრად ციონდა საქართველოში, ჩრდილოეთის ყინვა სულ უთოშავდა ქართველობას, დაზრობას ცოტაღა აკლდა... შობისთვის მადლმა გვიხსნა! ქვეყანა ერთმა მართალმა გადაარჩინა, ის ერთი მართალი თქვენ ბრძანდებოდით! 25 დეკემბერს თქვენი აღსაყდრებით ივერიამ ბრწყინვა-ლება დაიპრუნა - დათბა! თავისუფლების წყურვილმა ამოხეთქა - დიდ-პატარა სიონის საკათედრო ტაძრისკენ დაიძრა. ღმრთისმშობლის მიძინების მადლი ქართველობას აღვიძებდა... წმინდა ნინოს ჯვარი სასწაულებს ახ-დენდა... ჩვენ ახლა ამ მადლის შეცნობის უნარი გვქონდა, ამ სასწაულებს ვხედავდით და ეს ყოველივე თქვენი დამსახურება იყო! ხალხი მრევლად იქცა, თქვენ სიყვარულით „სიონელები“ გვიწოდეთ, ... „სიონელობა“ და ქა-რთველობა სინონიმებად უღერდა... კეთების, გარდაქმნის, მშვენიერის ქმ-ნის სურვილით ვინვოდით ყველა... ეკლესია-მონასტრების ჯაჭვ-საკეტების ახსნის ხანა დაიწყო! გალობას ვენაფებოდით, ხუცურს ვეუფლებოდით, სი-ყვარულს ვსწავლობდით - მოძღვარი თქვენ ბრძანდებოდით. მტრის დამარ-ცხებასაც სიყვარულით გვასწავლიდით. ყოველ ჩვენგანში იმ მინავლებუ-ლი, მიუკერძოებელი მსაჯულის აღდგინებას ცდილობდით, რასაც სინდისი ჰქვია!.. რამდენ რამესთან გიხდებოდათ შეჭიდება, თქვენს უმშვენიერეს სახეს ღიმილი მაინც არასოდეს მოჰკლებია. ცისკრისას დედა ღმრთისა გვიტოვებდა ამ ღიმილს თქვენს სახეზე!... წირვა-ლოცვის უამს რამდენჯერ შეგეცვლებოდათ ხმა, ჩვენ ვიცოდით, რომ თქვენ ხან მაცხოვარს ევედრე-ბოდით, ხანაც- ღმრთისმშობელს, ხანაც წმინდა გიორგის უმტკიცებდით არ დაკარგულაო ქართველობაში წმინდა მხედრის სული, ამის გაცხადების დროც დადგებაო!.. თავისუფლებაარ მხედრის სულის სიძლიერის ერთად-ერთი იარაღი, თავისუფლებით გვზრდიდით, თავისუფლება მსგავსთა ხვე-დრიაო, - შეგვახსენებდით და მსგავსობას ველტვოდით, მსგავსობა გვწყ-უროდა... თქვენი სალბუნი ხმით თეოლოგიის ურთიულეს და უმშვენიერეს ლაპირინთებში დაგვატარებდით... კრთომამოძალებულნი ვიდექით თქვენს წინაშე - უფალს მადლობას ვწირავდით თქვენი მოვლინებისთვის, მშობელთ ტკბილად მოგიგონებდით თქვენი აღზრდისათვის, მეგობართ განგიმხნევებ-დით თანადგომისათვის! არადა, მეგობარზე მეტი მტერი იყო (სამებამ და-გიფარათ!), რამდენი ბრძოლის გადატანა მოგიხდათ თხუთმეტსაუკუნოვანი დამოუკიდებელი ქართული ეკლესის კვლავ აღიარებისათვის. მსოფლიო პატრიარქისაგან საჭირო მტკიცებულებებით კონსტანტინოპოლიდან ჩამო-ბრძანებულს თვითმფრინავის ტრაპთან შეგხვდით, მაშინ გიხილეთ „ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი!“ შევდრკი თვალთსახილველი ნათლის აღ-მქმელი, უკან დავიხიე, თქვენგან გათამამებულს, თქვენგან ნახმობს ბიჯი ვერ წამედგა წინ...

რამდენჯერ გაგვაძედნიერეთ, უწმინდესო! უღიმლამო, დათითობებული ჩვენი ცხოვრება თქვენით გახდა აზრიანი და ღიმიანი... მასსენდება, ნლობით დაკეტილი შიო-მლვიმის მონასტერი თქვენი ნათლით კვლავ ვითარ აკიაფდა. თქვენივე ლოცვა-კურთხევით წირვის შემდეგ ტრაპეზი შედგა. ერმა და ბერმა თავის უსაყვარლეს პატრიარქთან გატეხა პური! თქვენთვის სუფრის გამლა მე დამევალა (მადლობა დამბადებელს!), ვკვირობდი, რა საჭირო იყო თქვენთვის ჭიქა და თეფში, დანა და ჩანგალი?!... დიდება უფალს, თურმე თქვენც სხვა დაბადებულთა მსგავსად ტრაპეზობპთ!...

შემდეგ, შემდეგ იყო უამრავი უმშვენიერესი დღე - სული იწრთობოდა, ლამაზდებოდა, ზეობდა... რვა საუკუნის შემდეგ თქვენ გერგოთ პატივი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ხარისხში სწვეოდით კონსტანტი-ნობოლს, იერუსალიმს, ანტიოქიას, ევროპის, აზიისა და ამერიკის ქვეყნებს... ვიხსენებთ მსოფლიოს მართლმადიდებელი პატრიარქებისა თუ სხვა ეკლესიების საჭეომპყრობელთა თბილისში ჩამობრძანებას, მათ აღფრთოვანებულ გაკვირვებას მრევლის სიმრავლითა და მათი თქვენდამი გამოვლენილი სიყვარულით.



შაბათ-კვირას, საეკლესიო დღესასწაულებს მოუთმენლად ველოდით - მწირველი თქვენ იქნებოდით და სხვა რაღა უნდა გვესურვილა? სუნდებდალენილნი, მართლაც და მშვენიერი ადამიანები ვტოვებდით ტაძარს.

ეს ილიაობას მოხდა - წირვა სვეტიცხოველში ჩატარდა, ქადაგებისას დღიდი ილია მოიგონეთ, ილიაობაზე გვაოცნებეთ, ილიასთან მისაახლებლად მოგვამზადეთ... შორს არ არისო ის დღე, როცა ილია ჭავჭავაძეს ქართველი ერი წმინდანად შერაცხსო, - ბრძანეთ! - კვლავ დაიქუხა თოფმა წინამურ-თან - „ორჯონივიძეები“ ეთხოვებოდნენ წუთისოფელს!! იმ დღეს თქვენი ნებით პარაკლისი აღევლინა ილიას სულის სალეხნად. ათეული წლების განმავლობაში, ეს მისია არავის შეუსრულებია, ჩვენ ამ მისის აღსრულე-ბაში უნდა მიგვედო მონანილეობა... ბედნიერ ქართველებს ვერ იტევდა მამა დავითი... ლოცვის დაწყებიდან რამდენიმე წუთში წამოვიდა, ჭექდა და ქუხდა, ცა დედამიწაზე აპირებდა დამხობას... შემკრთალთა მზ-ერამ თქვენც გამოგარკვიათ... მიგვიხდით შიშის მიზეზს, გაგელიმათ და ბრძანეთ - ლოცვის დამთავრებისთანავე გადაიღებსო. და... ლოცვა და წვიმა ზუსტად ერთდროულად დამთავრდა!... ყველანი წმინდა სამარისაკენ გავეშურეთ, თქვენმა ტკიცილით სავსე თვალებმა ყველანი წინამურისაკენ წაგვიყვანა - ისმოდა თოფების გრიალი, ილია ეტლიდან ეცემოდა, ოლ-ლას სცემდნენ... ქალები ავტირდით... სისხლგამშრალი იდგნენ კაცები.... თქვენ ილიას სული უფალს შეავედრეთ, საქართველოს ბედნიერებისათვის მებრძოლნი განამხნევეთ, ამინო! - შეგეპასუხათ ქართველობა და... ცაზე გამოისახა ორი უზარმაზარი ცისარტყელა!... ბედნიერებისაგან გათანგუ-ლი ერი თქვენ შემოგცეროდათ. თქვენი თვალები მომავლის თავისუფალ საქართველოს უმზერდნები...

რა ხანი გასულა მას შემდეგ! რამდენი სიხარული და სიმწარე გადავიტანეთ... ტკივილიანი ცრემლების სიხარულად ქცევის იმედს თქვენი არსებობა კვლავ გვაძლევს. უიმედობა ყველაზე დიდი ცოდვაა, - თქვენგან გვისწავლია. ამიტომაც ვევეძრებით უფალს - დიდხანს, ძალზე დიდხანს ჰყავდეს იმედად ქართველ ერს თავისი უსაყვარლესი კათოლიკოს-პატრიარქი!

ამენ!

უდიდესი კრძალვითა და სიყვარულით, მუდამ თქვენთვის  
და თქვენზე მლოცველი ასმათ პირია



## ჩემი გული თქვენი ლოცვა-კურთხევით ვეთქავს დღეს

ჩვენს პატრიარქთან, უწმინდეს და უნეტარეს ილია II-სთან მრავალი წელი მაკავშირებს. ხშირად ჩემს თავს ვეკითხები - რომელი, რომელი ერთი შეიძლება გამოყენო იმ დიდი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით აღსავს უამრავი შეხვედრიდან... თითოეული ასეთი შეხვედრისას ხომ ირგვლივ ყოველივე საოცრად განათებულია, გაბრწყინებულია და გონია, რომ შენზე ბედნიერი არავინაა ამქვეყნად!..

ბოლოს, გადავწყიტე თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გაზეთის მეკითხველებს

შემოგთავაზოთ ჩემი სიტყვა პატრიარქის დაბადების 83 წლისთავისადმი მიძღვნილი ჩემი შემოქმედებითი საღამოდან - „მიყვარხართ“, რომელიც თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა:

„არ ვიცი, რომელ ბედნიერ ვარსკვლავზე მოხდა ჩემი დაბადება, მაგრამ დღევანდელი დღე განსაკუთრებულია ჩემთვის, რამეთუ მაქვს პატივი ჩემი სიმღერებით, ჩემს მეგობრებთან ერთად მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ილია II-ეს მიულოცო დაბადების დღე, - მიულოცო გულწრფელად, მიულოცო საუკეთესო სურვილებით!

თქვენი უწმინდესობავ! ჩემი გული თქვენი ლოცვა-კურთხევით ფეხქვს დღე! ჩემი გული თქვენთვის მდერის დღე!..

2010 წელს სერიოზული ოპერაცია გამიერთდა გულზე, ბატონი სულხან ლომინაძე დავინახე აქ, დარბაზში, არაჩეულებრივი ქირურგი. რამდენიმე საათს გრძელდებოდა ოპერაცია... უცებ მესმის - „ბატონი ჯემალ, ჩვენი ძვირფასო, ჩვენი საყვარელო... იმერაცია დამთავრდა... ახლა თქვენ გაიღიძებთ“.. გავახილე თვალები და რას ვხე-

და? - თეთრებში გამოწყობილი მამაკაცი დგას... ვიფიქრე - „აუუუ, წავედი, უკვე იქა ვარ“... დაგხუჭე თვალები და უცებ მესმის - „ ჩემი ჯემალ, ეს მე ვარ!“.. ჩვენი პატრიარქის ხმა!.. უწმინდესა და უნეტარესი ჩემს სასტუმალთან იდგ!..

განუმეორებელი სილამაზე დავიახე ირგვლივ! და...პატრიარქის ხმა - „ჩემი ჯემალ, მოვედით, რომ დაგლოცოთ!..“

ამიტომაც ვამბობ - თქვენო უწმინდესობავ, ჩემი გული თქვენი ლოცვა-კურთხევით ფეხქავს დღეს! დიდი მაღლობა!

ჩემი ძვირფასო და უსაყვარლესო ადამიანო, ჩემი ძვირფასო და უსაყვარლესო სულიერო მეგობარო!

მინდა კიდევ მრავალ წელს გადაგიხადოთ მადლობა ჩემზე, ჩემს ოჯახზე ზრუნვისათვის, ყველა იმ სიკეთისათვის, რაც ჩემს ხალხს, სრულიად საქართველოს გულწრფელად არგუნეთ!

უფლის მადლი და მფარველობა არ მოგკლებოდეთ ან და მარადის!

თქვენი ჯემალ საჯიაშილი.



## თარიღი

### ლვაცლმოსილი მეცნიერი ენრიკო გაბიძაშვილი 90 წლისაა

თაღილის სასულიერო აკადემია და სამინისტრო გულითად ულოცას გამოცოდა გამოცოდა დაგადასახილის 90-ე ლეისთავს და ჯამერთოლობასა და მხერისა უსურვევას გამოცხადებით გზახახ!

ძველი ქართული ფილოლოგის ცნობილ მკვლევარს, ლიტერატურის ისტორიკოსს, არქეოგრაფს - ენრიკო გაბიძაშვილს - დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

ბატონი ენრიკო მის მიერ განვლილი არცთუ ხანმოქლე ცხოვრების მანძილზე ისეთივე რუდებული ემსახურებოდა ქართულ ფილოლოგიურ სკოლას, როგორც ამას დიდი ათონელი მამები აკეთებდნენ. ძველი ქართული სასულიერო მწერლობის არაერთი დარგის კვლევას დაამჩნია მან ღრმა კვალი და ეს კვალი არის ენრიკო გაბიძაშვილის ნიჭის, ერუდიციის, შემოქმედებითი აზროვნებისა და დიდი შრომის შედეგი.

ენრიკო გაბიძაშვილმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო ცნობილი ქართველი ფილოლოგის, ილია აბულაძის მიერ საქართველოს ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე ახლად დაარსებულ ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ილია აბულაძის ხელმძღვანელობით იმხანად ხელნაწერთა ინსტიტუტში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების კრიტიკულ ტექსტთა სრული აკადემიური გამოცემის მომზადებისათვის. ამ პროექტის ფარგლებში გამოსცა ენრიკო გაბიძაშვილმა თავისი პირველი მონოგრაფიული ნარკვევი - „ექვთიმე მთანმიდელის ცხოვრების სვინძსარული რედაქცია“, რომელიც 1965 წელს დაიბეჭდა კრებულში - „ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი“.

ათწლეულების მანძილზე ე. გაბიძაშვილმა უამრავი მონოგრაფიული ნაშრომი და სტატია მიუძღვნა ძველი ქართული მწერლობის ყველა დარგს, განსაკუთრებული კი პომილეტიკასა და კანონიკას. კიდევ ერთი ვრცელი სფერო მისი სამეცნიერო მუშაობისა - ესაა ენციკლოპედიური კვლევები, სადაც სრულად გამოჩნდა ძველი ქართული ლიტერატურის დარგში მისი ყოვლისმომცველი ცოდნა.

ილია აბულაძის მიერ დაარსებულ სერიაში - „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“ ე. გაბიძაშვილმა 1968 წელს IV ტომად გამოსცა ქართველ წმინდანთა სვინძსარული „ცხოვრება-წმებების“ 43 ტექსტი. ამ სერიაში შევიდა ენრიკო გაბიძაშვილის კიდევ სამი ნაშრომი: დავით გარევალის მეტაფრასული ცხოვრების კრიტიკული ტექსტი; ბიბლიოგრაფია ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებისა და ლექსიკონი; კათალიკოს ანტონ I-ის მარტვილო-



გიური კრებულის ("წიგნი მარტირიკა") კრიტიკულ ტექსტი და გამოკვლევა (მ. ქავთარიას თანაამგორიობით).

ენრიკო გაბიძაშვილმა 1991 წელს გამოსცა მონოგრაფია „წმინდა გიორგი ძეგლ ქართულ მწერლობაში“, რომელიც თავი მოუყარა ცნობებს წმ. გიორგის შესახებ ქართულ ენაზე შექმნილ ორიგინალური და თარგმნითი მრავალფეროვანი ლიტერატურის შესახებ. ენრიკო გაბიძაშვილის ნაშრომი ორი ნანილისა-გან შედგება: „წმ. გიორგი ქართულ ნათარგმზნ ლიტერატურის შეცილებაში და ქართული ენაზე შეცილებაში“ და „ქართული ენა“, ასევე, უცხოურ გამოცემებში. რუსულ Православная Энциклопедия-ში დაიბეჭდა 47 სტატია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის სხვადასხვა საკითხის, ავტორთა და მთარგმნელთა შესახებ. იტალიურ ენციცლოპედია დეი სანტი (ცე ციეს მრიენტალი)-ში კი - 74 მცირე სტატია საქართველოს ეკლესიის კალენდარში შეტანილ ქართველ წმინდანთა შესახებ.

ენრიკო გაბიძაშვილმა დიდი შრომა გასწია ენციკლოპედიური სფეროს მიმართულებითაც. ამ დარგში მისი პირველი ნაშრომია „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის ორ სხვა თანამშრომელთან ერთად შეადგინა. მისი მრავალი საენციკლოპედიო სტატია არის შეტანილი ქართულ ენციკლოპედიებში: „საქართველოს ენციკლოპედია“ და „ქართული ენა“, ასევე, უცხოურ გამოცემებში. რუსულ Православная Энциклопедия-ში დაიბეჭდა 47 სტატია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის სხვადასხვა საკითხის, ავტორთა და მთარგმნელთა შესახებ. იტალიურ ენციცლოპედია დეი სანტი (ცე ციეს მრიენტალი)-ში კი - 74 მცირე სტატია საქართველოს ეკლესიის კალენდარში შეტანილ ქართველ წმინდანთა შესახებ.

ენრიკო გაბიძაშვილის კოდიკოლოგიური ნაშრომი - „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები“. ექვსტომებულ მოყვა კიდევ ერთი კოდიკოლოგიური ბიბლიოგრაფიული ნაშრომი - „ძველი ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობა და თხზულებათა დარგის ბიბლიოგრაფია“. ენრიკო გაბიძაშვილმა დიდი შრომა გასწია ენციკლოპედიური სფეროს მიმართულებითაც. ამ დარგში მისი პირველი ნაშრომია „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის ორ სხვა თანამშრომელთან ერთად შეადგინა. მისი მრავალი საენციკლოპედიო სტატია არის შეტანილი ქართულ ენციკლოპედიებში: „საქართველოს ენციკლოპედია“ და „ქართული ენა“, ასევე, უცხოურ გამოცემებში. რუსულ Православная Энциклопедия-ში დაიბეჭდა 47 სტატია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის სხვადასხვა საკითხის, ავტორთა და მთარგმნელთა შესახებ. იტალიურ ენციცლოპედია დეი სანტი (ცე ციეს მრიენტალი)-ში კი - 74 მცირე სტატია საქართველოს ეკლესიის კალენდარში შეტანილ ქართველ წმინდანთა შესახებ.

ბოლო ათწლეულის მანძილზე ბატონი ენრიკო

